საქართველოს კანონი

„ტურიზმის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „ტურიზმის შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 28.12.2023, სარეგისტრაციო კოდი: 460070000.05.001.102213) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. 50-ე მუხლის:

ა) პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) 2026 წლის 1 იანვრამდე უზრუნველყოს „საკურორტო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის საქართველოს პარლამენტისთვის წარდგენა;“;

ბ) მე-2 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) 2025 წლის 1 ივნისამდე შეიმუშაოს სამართალდარღვევათა ოქმის ფორმა (ფორმები);

ბ) 2026 წლის 1 იანვრამდე დაამტკიცოს ტურისტული დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაციის სტატუსის მინიჭებისა და გაუქმების წესი, საქმიანობის წესი და სტანდარტი;“.

2. 51-ე მუხლის მე-4–მე-6 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. ამ კანონის მე-6–მე-9 მუხლები და 49-ე მუხლის მე-11 პუნქტი ამოქმედდეს 2026 წლის 1 იანვრიდან.

5. ამ კანონის მე-11 მუხლი ამოქმედდეს 2025 წლის 1 იანვრიდან.

6. ამ კანონის 36-ე და 37-ე მუხლები და 49-ე მუხლის მე-8 პუნქტი ამოქმედდეს 2025 წლის 1 ივნისიდან.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი **მიხეილ ყაველაშვილი**

თბილისი,

13 დეკემბერი 2024 წ.

N150-Iმს-XIმპ